№ 36. თბილისი, 1942 წ. ოქტომბერი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

## ენამ უყივლა

გერმანელები შიშით მოელიან მეორე რუსულ ზამთარს.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა



ჰიტლერი: ისევ რუსულ ზამთრის აჩრდილი? მე ამას არ დავუშვებ, მე ამას ვერ გადავიტან.

## ჰესი უნდა დაეცეს

ვის არ გაუგონია რუდოლფ ჰესის სახელი?
ლონდონში რომ ბრძანდება, სადაც ხალხი მნახველი
ჯალათს ზიზღით უცქერის და აფურთხებს სახეში...
სხვისთვის ავის მონატრე, თვით გაება მახეში.

ზოგს კი სანახაობად იგი მიუჩნევია
სამხეცეში მხეცების ნახვა ვისაც სჩვევია,
ზოგსაც გულაჩუყებულს თვალი აცრემლებია!
(სად არ გამოუჩნდება ზოგს მფარველად „ბებია“?)

ოი, საკვირველებავ, რას ელიან, რა გვესმის?
ჩვენ ხელში გვყავს ჯალათი, როგორც არის ის ჰესი.
მზაკვრულ საქმის ოსტატად ვინც თვით მტრებმაც დასახეს
და ვუყუროთ სიმშვიდით სისხლიან ხელს, მის სახეს?

იგი იმ ლონდონშია, რომელსაც ის ბომბავდა,
მისი განადგურების სურვილებით ბორგავდა.
არა, არ აშორდება მას სასჯელი სასტიკი,
ჰესი უნდა დაეცეს მალე თავის სვასტიკით.

ძველმეხაური

## ვერ შეაშინა

ჰიტლერის მოადგილემ პრაღაში განაცხადა: თუ ლონდონში ჩეხები არ შესწყვეტენ ანტიგერმანულ საქმიანობას, მათი ოჯახების მიმართ სათანადო ზომები იქნება მიღებულიო.

გაზეთებიდან

## არიული „ინდი-მინდი“

ნახ. მ. ვადბოლსკისა




ჰიტლერი (ჰესის მეუღლეს:) ინდი, მინდი, ფერად შინდი, ჰესისაკენ გადაფრინდი,
„ოჯახური პაემანით“ გადავაკრათ მტრის თვალს ბინდი.
ფრაუ ჰესი: ინდი მინდი ახ, შევშინდი... შიშით მიცემს გული შმაგი,
გულით მინდა გადაფრენა, მითვალთვალებს ეს გუშაგი.

ნახ. დონისა



— დედაბერო, თქვენი შვილიშვილი ანტიგერმანულ საქმიანობას განაგრძობს. ღებულობ თუ არა ზომებს?
— დიახ, ვღებულობ!
— სახელდობრ რას?
— ხელს ვუწყობ, რითაც შემიძლია!

# ს ა ზ ო მ ი

ნახ. დონისა



— რა მნიშვნელობას აძლევს ფიურერი ჩვენი დივიზიის განადგურებას?

— ადგილობრივს, ყველა დახოცილებს იმავე ადგილზე მარხავს, სადაც ისინი დაიღუპენ.

## ნინდახედული

**რეიხსმარშალმა გერინგმა უცხოეთის ბანკებში „შავი დღისათვის“ შეიტანა 8,000.000 დოლარი.**

სახელი აქვს ვირთაგვებსა,
ნურავის გაქვს ამის იჭვი...
სახელი აქვთ... იშვიათი
წინად გრძნობის ალღო, ნიჭი.

ვთქვათ მთელის გემს დაღუპვა,
წინ ვერ სცნობენ ამას სხვები,
მაგრამ მარცხის სიახლოვეს
ადრე გრძნობენ ვირთაგვები.

ფაშისტური გერმანიაც
გემი არის განაწირი,
რასაც შთანთქმით ემუქრება
ცხოვრების ზღვის ბნელი ძირი.

და გერინგსაც, სჩანს ჰქონია
(აწ მეტია ამის იჭვი)
მსგავსად განთქმულ ვირთაგვების
წინადგრძნობის ალღო,—ნიჭი.

**ხ. ისარიძე.**

# თავისი სიტყვის კაცი

„... კავკასიის დაპყრობა გერმანელ დამპყრობთა ძველი ოცნებაა, დიდი ხნის ნატვრაა“.

**ამხ. კალინინის წერილიდან.**

გაზეთ „დოიჩე ცრუიტუნგის“ რედაქტორს ამ ერთი თვის წინათ გულითადი მუსაიფი ჰქონდა კორესპონდენტ იუდოლფ ხუხენბერგთან.

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ კავკასიას კარგად იცნობთ?

— ჩინებულად, როგორც ჩემს ხუთ თითს.

— თქვენ იქ ნამყოფი ხართ, არა?

— დიახ, ცხრაას თვრამეტში, ვილჰელმ მეორის საოკუპაციო ჯარში გახლდით, ლეიტენანტის ჩინით. შემდეგ გენერალმა ფონ-კრესია თავის ამალაში გადამიყვანა—თბილისში გახლდით, საქართველოს მთავარ ქალაქში.

— როგორი ქვეყანაა კავკასია?

— ჩინებული ჰერ. კავკასიაში რამოდენიმე ქვეყანაა, განსაკუთრებით საქართველო—ერთხელ თუ ნახეთ, ველარ დაივიწყებთ, უთუოდ მოგენატრებათ. აი, მე მაგალითად, ყოველთვის მოუთმენლად მოველოდი გერმანიის მიერ განვადებული ოცნების შესრულებას.

— თქვენ ჩინებულად ლაპარაკობთ ხუხენბერგ,— მხატვრული მეტაფორა გამოდის: „განვადებული ოცნება“.—ჩინებულია. რას გულისხმობთ ამაში?

— ვგულისხმობ ჩვ ამე იმპერიის მისწრაფებას—კავკასიის დაპყრობისაკენ. ეს მისწრაფება ცხრაას თვრამეტში ჩაეშალა კაიზერს, ახლა მას ფიურერი ანხორციელებს,—ჰაილ ფიურერ!

— ჰაილ ფიურერ!—ჩინებულია. მაშ რას იტყოდით, იქ წასვლაზე, როგორც ჩვენი სამხედრო კორესპონდენტი?

— სიამოვნებით დავთანხმდებოდი ჰერ! მეტსაც გეტყვით:—მე მთლად იქ დავრჩები, იქიდან ვემსახურები გერმანიას, მით უმეტეს რომ ვიდრე მე ჩავალ, კავკასია უკვე დაპყრობილი დამხვდება ჩვენი არმიის მიერ.

— საქებია თქვენი სურვილი ხუხენბერგ, მაგრამ ვშიშობ, რომ ფატერლანდში ჩამოსვლა არ მოგენატროთ.

— არა, ჰერ, მე სიტყვის კაცი ვარ, უეჭველად იქ დავრჩები, მეც და მრავალი სხვა გერმანელიც. ისეთი წარმტაცი ქვეყანაა, ისეთი რომ...

დიდხანს გაგრძელდა გულითადი მუსაიფი. მეორე დღეს ხუხენბერგი საბუთებით აღჭურვილი გაემგზავრა კავკასიისაკენ, როგორც „დოიჩე ცრუიტუნგის“ კორესპონდენტი.

* * *

ამ დღეებში იმავე რედაქციამ მიიღო ხუხენბერგის მახლობელი ოფიცრის წერილი, რომელიც ასე თავდებოდა:

„... რაც შეეხება თქვენს კორესპონდენტ ხუხენბერგს, ისიც დაიღუპა კავკასიელ პარტიზანების მიერ ჩვენი პოლკის აფეთქების დროს. გიგზავნით მის საბუთებს და მის უკანასკნელ კორესპონდენციას...“

რედაქტორი სევდიან ფიქრებს მიეცა იმ მარცხის შესახებ, რაც ყოველდღიურად ემართება გერმანიის არმიას კავკასიის მისადგომებთან, იმ დიდი მსხვერპლის შესახებ, რასაც გერმანია სწირავს „ფიურერის“ გიჟურ ოცნებას—იქაც—შორეულ კავკასიაში.

—რას იწერება ხუხენბერგი ჰერ, ჩამოსვლას ხომ არ აპირებს?—მოკრძალებით შეეკითხა რედაქტორს თითის წვერებზე შესული საქმეთა მმართველი.

—არა, ხუხენბერგი არ ჩამოვა,—მოკლედ მიუგო რედაქტორმა—და მწარედ ამოიხვნეშა. საქმეთა მმართველი ფეხაკრეფით გაეიდა კაბინეტიდან და თანამშრომლებს გაუმეორა რედაქტორის ნათქვამი, მათ ერთხმად სთქვეს:

— მართლაც სიტყვის კაცი ყოფილა ჰერ ხუხენბერგი, ნამდვილი სიტყვის კაცი ყოფილა.

**ფარხადანი**

# ბლაყუნაძის მჭირნეობა

ნახ. დონისა

ტექსტი მახვილაძისა



1. ფრილმარაგის მეკუჭმავე რაციონალურ წი... დადებას სწერდა სამმართველოში ელექტრო—ენერგ... უყაირ თოდ ხარჯვის თავიდან ასაცილებლად. დირ... ტორმა იოთამ ბლაყუნაძემ შეამჩნია, რომ მეკუჭ... განცხადებას მთელ თაბახზე სწერდა.



2.—განცხადებისათვის მთელი თაბახი?—დატუქ... ... ლაყუნა ძემ,—მომეცი აქ, მე თვითონ მოკაზმე განცხა... დირექციისათვის საკმარის ქაღალდს; ნუთუ არ გესმია ... რომ საჭიროა სახელმწიფო მომჭირნეობის დაცვა?



3.—აი, შე კაცკაცო, ამხელა ქაღალდზე ორი ... ცხადება დაეტევა. დაწერე მოკლედ.



4. და „მომჭირნე“ დირექტორმა დანარჩენი ქაღალ... და გულმოდგინედ დამზოგა და კალათში... გადაუძახა:



5. მართლა, ამ განცხადებაზე ცარიელა... გავაფრთხილო თანამშრომლები, რომ გადაჭრით ... ზოგონ ქაღალდი,—სთქვა ბლაყუნაძემ და შეუდგა ბრძ... ნების წერას.



6. ... და სწერს, და სწერს, და სწერს ბლაყუნაძე—ქაღალდებს ქაღალდის მომჭირნეობის შესახებ.

## ანეკდოტი

ერთმანეთს ხვდება ორი გერმანელი...
— გრეტხენ ძარინა, მეტად სამწუხარო ამბავი უნდა გითხრათ.
— ახ!..
— თქვენი ბიძა ომში დაღუპულა.
— ეხ!
— თქვენი ძმაც ომში დაღუპულა.
— ოხ!
— მასთან ერთად თქვენი ქმარიც დაღუპულა.
— უხ!..
— ხმა ამოიღე! თუ ჭკვიანურს ვერ... ამბობ, სულელური მაინც თქვი რამე!
— ჰიტლერს გაუმარჯოს! ჰაილ ჰიტ...

**მ-ზა**

# ნამდვილი რედაქტორი

პეტენი და ლავალი საუბრობდნენ და ხანდახან შეკრთებოდნენ, თითქოს მათ ვ ღაც უთვალთვალებდა. კედლისკენ თვალი ეჭირათ.

— მგონი ფიურერის რისხვას გადავრჩით.—მუშები თუ ვერ გავუგზავნეთ, სამაგიეროდ ამ დღეებში რამდენიმე ათი ათას ფრანგ ქალს მივართმევთ. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ იგი ჩვენი მადლიერი დარჩება!—კმაყოფილების კილოთი სთქვა ლავალმა და კედელზე ჩამოკიდებულ ჰიტლერის სურათის წინ გაიჭიმა..

—რა დიდებულია!! ნუთუ მართლა მოაგვარეთ ეს საქმე?!—წამოიძახა პეტენმა და მის დამჭკნარ სახეზე სიამოვნება აღიბეჭდა.

— ჰმ, როგორ თუ მოვაგვარეთ! თქვენი უდიდებულესობა კიდევ არ იცნობს ლავალს. თქვენ იცით რა თიჩა მივმართეთ?

— ფიურერის ნებართვით ფრანგ ტყვეების ცოლებს ნება ეძლევა თავიანთი ქმრების სანახავად გაემგზავრონ გერმანიაში. ინახულებენ თუ არა ისინი თავიანთ ქმრებს, ეს მე არ მეხება, მხოლოდ რომ ისინი აღარ დაბრუნდებიან საფრანგეთში, ეს კი ვიცი.

პეტენმა ჩაიხითხითა.

ამ დროს კარი გაიღო და მასთან შემოვიდა გესტაპოს რწმუნებული საფრანგეთში, რომელმაც ძრიახანე ხმით მიმართა მათ:

— ბატონებო, პასუხისგებაში ხართ მიცემული!!

პეტენს მუხლები მოეკვეთა, ლავალი აცახცახდა... და ისინი სავარძლებში ჩაეშვნენ. ცოტა პაუზის შემდეგ ლავალი გონს მოვიდა და გესტაპოელს მიმართა:

— პასუხისგებაში? რა დავაშავე? მე და პეტენი ხომ ფიურერის უსაზღვრო ერთგულნი გახლავართ!

გესტაპოელმა რაღაც გაზეთი გადასცა მას.

— აი, წაიკითხეთ და ყველაფერს მიხვდებით!

ლავალმა გაზეთს თვალი დაასო, პეტენს გადახედა და გაზეთი გადასცა. პეტენმაც წაიკითხა. ერთმანეთს გადახედეს და ნაძალადევი სიცილი წასკდათ.

— თქვენ იცინით, მე კი არ მეცინება!!—გაბრაზებით წარმოსთქვა გესტაპოს რწმუნებულმა.

პეტენი და ლავალი ფეხზე წამოდგნენ:

— როგორ არ უნდა ვიცინოთ. ჩვენ გვეგონა ფიურერი იყო ჩვენზე განრისხებული, თორემ ეს გაზეთი...

— დიახ, ეს გაზეთია, რომ ჩვენს წინააღმდეგ ხალხს ამაღლებს, ასეთი გაზეთები თქვენში რამდენიმე ათეული გამოდის. ვინ მისცა მათ ბეჭდვის უფლება? მიეცით თუ არა პასუხისგებაში მათი რედაქტორები—ღრიალებდა გესტაპოელი.

გაფითრებულმა ლავალმა არ იცოდა რა ეთქვა.

— ეს გაზეთი „პოპულერ“ არალეგალურად გამოდის და იგი, როგორც სხვა მაგვარი გაზეთები ჩვენი ნებართვის გარეშე არსებობენ. მთავრობამ არაერთხელ დაადგინა მათი მოსპობა და რედაქტორების პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გავხდით, რადგან რედაქტორების ვინაობა ვერ გავიგეთ.

— საქმე ეგ არის, ბატონებო, რომ ანტიგერმანული გაზეთები გამოდის და თქვენ არც კი იცით მათი რედაქტორების ვინაობა.

— ნება მომეცით წაგიკითხოთ ეს გაზეთი და თქვენ მაშინ გაიგებთ მისი რედაქტორის ვინაობას.

გესტაპოელმა ლავალს ხელიდან გაზეთი გამოართვა და წაიკითხა:

„ჩვენ მოვითხოვთ ვიშელი მოხუცის პეტენის და მისი მინისტრის ლავალის გასამართლებას. ხალხის რისხვა არ განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან და ხელიხელ ჩაკიდებულთ უკანასკნელთ გზას გაუყენებს. რედაქცია მოახსენებს მათ, რომ ისინი უძლური არიან შეიპყრონ ჩვენი გაზეთის რედაქტორი. სამაგიეროდ, რედაქტორი კი მალე გაასამართლებს მათ. დაე, პეტენმა და ლავალმა იცოდნენ, რომ ჩვენი გაზეთის ნამდვილი რედაქტორი თვით ფრანგი ხალხია“.

აი, ბატონებო. ამის შემდეგ მაინც გეცოდინებათ ამ გაზეთის რედაქტორის ვინაობა და იმედია მის წინააღმდეგ მიიღებთ სათანადო ზომებს.

გესტაპოელმა გაზეთი ისევ ლავალს გადასცა, შემოტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

პეტენი და ლავალი თავიანთ სავარძლებში ჩაეშვნენ და შიშისაგან გაფითრებულნი ერთმანეთს უხმოდ შესცქეროდნენ.

**ძიუვარდი**

# მეგობრული რჩევა

ნახ. მ. ვადბოლსკისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილმა უთხრა „ფიურერს“
რად დაღვრემილხარ კენტადო,
დრო არის ეს განაჩენი
ჩვენ წავიკითხოთ ერთადო.

## ა ვ გ ა რ ო ზ ი

რომელიღაც შერ, სახელად ფრიცი,
რუსეთს მოადგა, მას მხურდა „ბლიცი“.
და როგორც არის წესი ველურთა
მას ავგაროზი ეკიდა გულთან.
შიგ შელოცვები ეწერა ბევრი,
ავტორი იყო ბერტა ბებერი:

—.—

„სადარაჯოზე—ტყვიებისაგან
მინდვრად—თოშის და სიცივისაგან
სანგრებში მყოფხა—ტილებისაგან,
ხიშტებისა და კონდახისაგან,
ხმლისა, ხანჯლის და ყუმბარისაგან...
გილავდეს—ჩემი შელოცვის საგანს...
რაც გინდა დღე იყოს,
რაც გინდა ტაროსი,
მუდამ თან ატარე
ეს ავგაროზი.“

—.—

დაატარებდა ფრიცი ავგაროზს
და გადაურჩა ის ბევრ ცუდ ტაროსს.
მაგრამ რუსეთში ეწია შავ დღეს
იქ ბავარიელს კეტი დაარტყეს,
როს ავგაროზი უნახეს მკვდარ ფრიცს,
დასცინეს რწმენას მისას და მის „ბლიცს“.

—.—

არ დავიწყნია გველს არაფერი:
ტილები, ტყვია, ხმალი ფიცხელი,
მხოლოდ გამოჩრჩა იმ საძაგელსა,—
კეტითაც მკლავენ ჩვენში შავ გველსა.

**ვ. ხიმონოვი**

თბილისი

# მაიმუნი ერისა

ნახ. მ. ვადბოლსკისა.



გამყიდველმა ლავალმა მთლად დაჰკარგა გონება,
გაიძახის: ფრანგებო, ყველა გახდით მონებად!

## ე ლ ვ ა

გერმანიის ხელისუფლება საბ...ის მოღალატეებათ თვლის...

### სიზმარი უშველის

**სანტ-იაგო.** ჩილის ყოფილი მინისტრი ბარროს-ხორპა, რომელიც გადაყენებულ იქნა, ისევ განაგრძობს ღერძის სახელმწიფოებთან ურთიერთობას... სიზმრების საშუალებით.

### გაზეთით დასჯა

**ბუქარესტი.** რუმინული გაზეთი „ვიაცის“ რეცეპტის მიხედვით, მუშაობის დროს უნდა აღიკრძალოს ყოველგვარი ლაპარაკი, ჩურჩულიც კი,—ანტონესკუს ბრძანებით ვინც ამ ღონისძიებას არ გაატარებს, იგი სასტიკად დაისჯება, პირველად ზემოხსენებულ გაზეთს წააკითხებენ, შემდეგ კი ათი წლით საკატორღო მუშაობას მიუსჯიან.

### სამშობლოს „მოღალატენი“

**ბერლინი.** იტალიელ მუშებს, რომლებიც იძულებით არიან გაგზავნილი სამუშაოდ და მძიმე...

## დაკვირვებული კახი

გერმანიის ჰოსპიტლებში ადგილ... ...ვარის გამო სამსართულიანი საწოლები შემოიღ... გაზეთებიდან.



— არ გეშინიათ ფრაუ, ... ...რსაც ეშინიათ,

### ხანძარი და შადრევანი

**პარიზი.** ვიშის პარლამენტში უნდობლობის ხანძარი გაჩნდა. წყალსადენის დაზიანების გამო ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენეს ლავალის მუქარის გამომხატველ სიტყვების შადრევანი. ეს ღონისძიება მიზანს ვერ აღწევს. ხანძარი ძლიერდება.

### დიდი ენტუზიაზმი

**ლონდონი.** კვისლინგელთა პარტიის მოწოდებამ ნორვეგიის მოქალაქეებისადმი აღმოსავლეთის ფრონტზე წასასვლელად დიდი აღფრთოვანება გამოიწვია: გასაწვევ პუნქტზე გამოცხადდა ორი მოქალაქე.

### პროგნოზი

**ბერლინი**—უკანასკნელ დროს რეიხსკანცლერს ზურგის ფხანა დასჩემდა. ექიმების დასკვნით ამ სენს შეუძლია გართულება ინგლისის არმიის მიერ ეგვიპტეში და სხვა ფრონტებზე დიდი შეტევების განვითარების სახით. მკურნალობა...

# ფრონტი და ზურგი

ფინეთში ჯარში და მოსახლეობაში საშინელი შიმშილი მძვინვარებს.

გაზეთებიდან.

ნახ: გ. ლომიძისა



— სად მიდიხარ, მოხუცო?
— ფრონტზე, შეიძლება ხაჭმელი მაჭამონ.

(„კროკოდილიდან“)

ნახ. კუკრინიკსების



მეგზური კავკასიისკენ

# ფრონტის იუმორი

### სწორედ მიტომ...

— შოლც, რატომ ხარ ასე [illegible]?

— მე მაქვს ამისი მიზეზი.

— როგორ არა გრცხვენია; შენ ხომ გერმანელი ხარ!

— სწორედ იმიტომ მრცხვენია, რომ გერმანელი ვარ.

### ფინური ტრაგედია

— სულო. შენ ჩემი ძველი მეგობარი ხარ! ძალიან გთხოვ: მესროლო ტყვია ან ხელში, ან ფეხში, ერთი სიტყვით სადმე, მხოლოდ მალე.

— რისთვის ლიამია, რისთვის?

— მე არ შემიძლია ვიცხოვრო ამ ჯოჯოხეთში: სულ ერთია ჩვენ რუსები დაგვხოცავენ და თუ შენ დამჭრი, მაშინ შინ წავალ, შვებულებაში...

— კარგი, მაგრამ დაჭრასთან ერთად მე უნდა ამოგთხარო შენ თვალებიც.

— ხომ არ შეიშალე, სულო! თვალები რად უნდა დამთხარო?

— იმიტომ, რომ შენ ველარ დაინახო როგორ ეალერსება შენს ცოლს გერმანელი, როგორ მიჰყავს შენი ძროხა ტანერს და როგორ მიაქვთ გერმანიაში შენი ხორბლეული.

(„წითელარმიელი“)

### მოხერხებული

გერმანელი ოფიცერი—როგორც იქნა, ამ შეტევის დროს ისე გადავრჩით, რომ სრულებით არ გვაქვს დანაკლისი.

კაპიტანი—ყოჩაღ! როგორ მოახერხეთ?

გერმ. ოფიცერი—მე იმ ცეცხლში შევყარე მხოლოდ რუმინელები.

(„წითელი აზოველი“)

## დაუსაბუთა

მესაქონლეობის [illegible] საკვების ეკონომია მახინჯათ ესმით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი საქონელს საკვებს აკლებენ.

ნახ. დონისა



ფური: (მწველელს) თავს ნუ იწუხებთ. დღეს ჩემგან რძეს ვერ მიიღებთ. ჩვენი დირექტორი საკვების მომჭირნეობას ეწევა და სამი დღეა არაფერს მაჭმევს.

სარედაქციო კოლეგია. Сатирико-юмористический журнал „Ниангi“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წ. 4/XI. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამომც. № 59. შეკვ. № 1130. უე 10229.